კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქალაქ რუსთავის 28 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-3ბ
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	სულხან საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“ - იგავი: „ძუნწი და ოქრო“.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	პირადი ფინანსების მართვა; ფული; ინვესტიცია; ქველმოქმედება.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	**ძირითადი სასწავლო მეთოდი: პროექტებით სწავლება.** თემა - ფინანსები ლიტერატურაში - საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის, ამიტომ განვახორციელე პროექტის სახით. ფინედუს მიერ შემოთავაზებული იდეა იძლევა ხანგრძლივ, მონაწილეთა დიდ რაოდენობაზე ორიენტირებული, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვის პროექტის დაგეგმვის და განხორციელების საშუალებას. ამჯერად პროექტის განსახორციელებლად გამოვყავი 5 დღე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები შინაარსის შესაბამისად განვახორციელე ქართული ენის, მე და საზოგადოების, ხელოვნების და ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მიმდინარე საკითხებთან ინტეგრირებულად. მოსწავლეთა შორის სოციალიზაციი, მიზნით ვიმუშავეთ მოსწავლეთა **თანამშრომლობითი მეთოდით**. მთელ კლასთან ერთობლივი და ასევე ჯგუფური მუშაობისას, მოსწავლეები უფრო

	მეტად მოტივირებულები გახდნენ , თავისუფლად და ხალისით გამოხატავდნენ შემოქმედებით იდეებს. პროექტებით სწავლების პრინციპების გამოყენებამ განაპირობა მოსწავლეებისთვის **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების საჭიროება,** ამ უკანასკნელმა კი - **შემთხვევების ანალიზის მეთოდის გამოყენებას**. ამ მეთოდების მეშვეობით მოსწავლეები გაიწაფნენ ღია დავალებების შესრულებაში. მათ ამხნევებდათ ის ფაქტი, რომ გადასაჭრელ პრობლემას არ აქვს ერთი სწორი „ამონახსნი“. მრავალი შემთხვევის/მრავალი გზის არსებობაში დარწმუნება, მათი მოფიქრება, შემთხვევების ანალიზი, მოსწავლეებში ერთდროულად ააქტიურებდა კრიტიკული ანალიზის და შემოქმედებით უნარებს. პროექტზე მუშაობისას მოტივაციის შესანარჩუნებლად გამოვიყენე ბავშვებისთვის სახალისო და საყვარელი მეთოდები: **გონებრივი იერიში, დისკუსია, როლური და სიტუაციური თამაშები.**

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	**პროექტი „ფინანსური საკითხები ლიტერატურაში“** • შებრუნებული საკლასო ოთახის პრინციპით მოსწავლეები გაეცნენ <u>საქართველოს ეროვნული არქივ</u>ის მიერ შემოთავაზებულ იგავ-არაკების და ზღაპრების აუდიოჩანაწერებს. გამოარჩიეს ის ნაწარმოებები, რომლებიც ფინანსურ საკითხებთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო. • გაიხსნეს შემოქმედებითი ნაწარმოებების წარმოდგენის სხვადასხვა ფორმები და გამოკვეთეს მათთვის ყველაზე საინტერესო - „ჩრდილების თეატრი“. მოსმენილი ნაწარმოებებიდან, ჩრდილების თეატრისთვის ამოარჩიეს იგავ-არაკი „ძუნწი და ოქრო“. • არჩეული იგავ-არაკისთვის „ნაწარმოების რუკის“ სქემის მეშვეობით გამოკვეთეს პრობლემები, გარემოებები, მთავარი პერსონაჟების ძირითადი მახასიათებლები და პრობლემის გადაჭრის გზები. • „სიტყვების პირამიდის“ სქემის დახმარებით ისწავლეს და გაიაზრეს ნაწარმოებში გამოყენებული მათვის უცნობი სიტყვები. • დაამზადეს ჩრდილების თეატრისთვის საჭირო რესურსები და გამართეს წარმოდგენა. • წარმოდგენის შემდეგ მოსწავლეებმა იმსჯელეს პრობლემის (სიძუნწის და მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების) წარმოშობის მიზეზებზე, მისი თავიდან აცილების გზებზე, მოიყვანეს ანალოგიური შინაარსის სიტუაციები, შემთხვევები - ზოგიერთმა საკუთარი გამოცდილებიდან, ზოგიერთმა - მოსმენილიდან ან წაკითხულიდან. მაგალითად გაიხსენეს „ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი“-ს ამბავი, როდესაც მეფე ნაპოვნ განძს მისი სამშობლოს საკეთილდღეოდ იყენებს. • გამართეს დისკუსია თემაზე: შეიძლება, თუ არა შეცდომა და მისით გამოწვეული უარყოფითი შედეგები სასარგებლო იყოს თავად ამ ადამიანისთვის? • მოსწავლეებს მივეცი საშუალება დაესახელებინათ, თუ რა იყო მათთვის განძი. რამდენიმე მოსწავლემ დაასახელა „ფული“. ფულის ცნების უკეთ გაგებისთვის გავიხსენეთ ფულის წარმოშობის ისტორია და ფულის დანიშნულება. ინტერაქტიული თამაშით: „-„შეკითხვა -ბურთის ტყორცნა-პასუხი“- მოსწავლეები სხარტად და ხალისით პასუხობდნენ, თუ როგორ მოექცეოდნენ ფულის ან სხვა სახით ნაპოვნ/ნაჩუქარ განძს. • მოსწავლეებმა წარმოადგინეს საშინაო დავალება შემოქმედებითი სახით: შექმნეს იგავ-არაკის გაგრძელება კომიქსის სახით.

	შეჯამებისთვის მოსწავლეებს ვთხოვე შეაფასებინათ პროექტი: ✓ იყო, თუ არა, მათთვის საინტერესო ფინანსური საკითხების ლიტერატურულ ნაწარმოებებში აღმოჩენა. ✓ რომელი აქტივობები და რესურსები მოეწონათ მეტად? რას შეცვლიდნენ აქტივობებში, ხელახლა რომ უწევდეთ მუშაობა? ✓ აქვთ, თუ მსგავს პროექტში მონაწილეობის მიღების სურვილი? ✓ სად და როგორ შეიძლება გამოიყენონ პროექტზე მუშაობისას მიღებული გამოცდილება?
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	პროექტის განხორციელების შედეგად ✓ გამოიკვეთა მესამე კლასელი მოსწავლეების დიდი ინტერესი ფინანსური განათლების საკითხებისადმი; ✓ მოსწავლეები დაინტერესდნენ ფინედუს და ეროვნული არქივის პორტალით. ✓ მოსწავლეებს გაუღვივდათ ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნის და მათი წარმოდგენის სურვილი მხატვრული კითხვით ან სპექტაკლით. ✓ მოსწავლეებს განუმტკიცდათ სოციალური, შემეცნებითი, შემოქმედებითი და პირადი ფინანსების სწორად მართვის უნარები